ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02.37222022**
თარიღი:**21/07/2022**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიამ" განიხილა საკრებულოს წევრის გოჩა მდინარაძის ინიციატივა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩისათვის ,,მაგნეტიტის ქუჩის" სახელის მინიჭების შესახებ.

2021 წლის 19 აგვისტოს დაბა ურეკში მოეწყო შემაჯამებელი შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და გაიმართა ურეკის ტერიტორიაზე არსებული არასახელდებული ქუჩისათვის ,,მაგნეტიტის ქუჩა" - სახელის ინიციატივის საჯარო განხილვა. აღნიშნულ საჯარო განხილვას წინ უსწრებდა საკრებულოს წევრების, მუდმივმოქმედ კომისიასთან არსებული სამუშაო ჯგუფის წევრების, საზოგადოების წარმომადგენლებთან და ადგილობრივი მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებთან შეხვედრა კონსულტაციები.

ზემოთ აღნიშნული შეხვედრისას უსახელო ქუჩისათვის სახელდების სხვადასხვა ვარიანტის განხილვის, მოსახლეობასთან გამართული კონსულტაციებისა და საჯარო განხილვის შედეგებიდან გამომდინარე, კომისიამ დაადგინა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ტერიტორიაზე არსებულ უსახელო ქუჩას, თანდართული სიტუაციური ნახაზის შესაბამისად ეწოდოს ,,მაგნეტიტის ქუჩა"

2. დაბა ურეკის ტერიტორიაზე არსებული უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ საჭირო დოკუმენტაცია გადაეგზავნოს კანონით განსაზღვრულ შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს.

ზემოთ აღნიშნული უსახელო ქუჩისათვის ,,მაგნეტიტის ქუჩა" სახელის შერჩევა და მინიჭება განაპირობა:

1. ურეკი თავისი უნიკალური და განუმეორებელი სამედიცინო ფაქტორებით ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია ევროპის გამაჯანსაღებელ და სამკურნალო ზღვისპირა კურორტებს შორის. აღნიშნული განპირობებულია დაბა ურეკში არსებული მაგნიტური ველით, რომელიც შექმნილია ქვიშის ტიტანომაგნიტური, ფერომაგნიტური და მაგნეტიტის მინერალოგიური შემადგენლობით.

2. ზემოთ აღნიშნულის შედეგად დაბა ურეკის იმ უბანს, სადაც მდებარეობს უსახელო ქუჩა, ადგილობრივი და საქართველოს მოსახელობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოიხსენიებს, როგორც ,,მაგნეტიტს" (,,მაგნიტოს"). მაგნეტიტი, როგორც დაბა ურეკის ერთ-ერთი დასახლებული უბანი, ცნობილია უკვე უცხოელი დამსვენებლებისა და ტურისტებისათვის.

3. ყოველივე ზემოთ მოცემულის გათვალისწინებით და ადგილობრივი

მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი დაბა ურეკში არსებული უსახელო ქუჩისათვის ,,მაგნეტიტის ქუჩა“ - მინიჭების ინიციატივას.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი